მწვანე ალტერნატივა
მისამართი: თბილისი, ყიფშიძის ნა, IV სადარბ. VII სართ.
საფოსტო მისამართი: ჭავჭავაძის გამზ.№62, თბილისი, 0162
ტელ: (+995 32) 22 16 04, 22 38 74
ფაქსი: (+995 32) 22 38 74
ელ-ფოსტა: greenalt@wanex.net
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

№ ___**04/02-77**_____

"_25_" _სექტემბერი_ 2007

საქართველოს გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების სამინისტროს
ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსს
ბატონ გიორგი ცხაკაიას

ბატონო გიორგი,

შეგახსენებთ, რომ 2007 წლის 16 ივლისს მოგმართეთ წერილით (№04/02-72), რომელშიც გთხოვდით, ჩაგვრთოთ ქვემოთ ჩამოთვლილ საქმიანობებზე სახელმწიფო ეკოლოგიური დასკვნის და/ან გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციული წარმოებაში.

- შპს "ინგეო ტრეიდი" – მინერალური ნედლეულის გამამდიდრებელი ფაბრიკა;
- შპს "ჯეოსთილი" – მეტალურგიული საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია;
- შპს "არომატი" – მინერალური ნედლეულის – მანგანუმის მადნის გამამდიდრებელი საწარმო;
- შპს "ანგლო მესხეთი" – კახარეთის მცირე ჰიდროელექტროსადგური;
- შპს "ბურჯი" – ნავთობპროდუქტების საცავის ფუნქციუნირება;
- ასოციაცია "ატუ" – ასფალტობეტონის ქარხანა;
- შპს "ენტო" – მცირე ჰიდროელექტროსადგურ მისაქციელზე დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება;
- ინდ. მეწარმე "ზურაბ გოგრიჭიანი" – მინერალური ნედლეულის გადამუშავების – გაჯის საამქრო;
- ინდ. მეწარმე "ივანე გავაშელაშვილი" – მინერალური ნედლეულის გადამუშავების – გაჯის საამქრო.
- "სოკარ ჯორჯია პეტროლიუმის" მიერ თბილისში, ნავთლუღის რაიონში, ქიზიყის ქუჩაზე ახალი ნავთობის ტერმინალის მშენებლობა.

ასევე შეგახსენებთ, რომ 2007 წლის 6 აგვისტოს მწვანე ალტერნატივამ წარმოგიდგინათ შეიშვნები შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ინგეო ტრედის" მინერალური ნედლეულის გამამდიდრებელი ფაბრიკის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ჯეოსთილის" მეტალურგიული საწარმოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე.

გთხოვთ, "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის მე-6 მუხლის მე-9

პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, გვაცნობოთ, რამდენად იქნა გათვალისწინებული ჩვენს მიერ წარმოდგენილი შენიშვნები გადაწყვეტილების მიღების პროცესში; და მოგვაწოდოთ ყოველი კონკრეტული შენიშვნის (თუ ასეთი არსებობს) გაუთვალისწინებლობის დასაბუთებული მიზეზი.

ასევე ამ წერილით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის და "გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ" კონვენციის (ორჰუსის კონვენცია) მე-2 და მე-6 მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, გთხოვთ, ჩაგვრთოთ არა მარტო ზემოთჩამოთვლილ საქმიანობებზე სახელმწიფო ეკოლოგიური დასკვნის და/ან გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ ადმინისტრაციული წარმოებაში, არამედ მომავალში გარემოზე ზემოქმედების ნებართვის და/ან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მისაღებად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარდგენილ ნებისმიერ განცხადებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.
პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი